დანართი N1

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

| N0 | სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა |
|---|---|
| 1 | – მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია),რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ. |
| | – იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის. |
| | – სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ. |
| 2 | – სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ. |
| | – სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით. |
| | – ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*. |
| 3 | – რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის. |
| | – სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში. |
| | – ქართველოლოგიური სამეცნიერო მიმართულებებისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი. |
| | – სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში. |
| 4 | – საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ. |
| | – საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ. |
| 5 | – გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში. |
| 6 | – გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში. |

* საქართველოში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა.